ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის გამოცდებისთვის

ძირითადი რეკომენდაციები:

- სტუდენტების მიღება აუდიტორიებში უზრუნველყავით წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით იმგვარად, რომ უზრუნველყოთ:
  - ყოველ საგამოცდო აუდიტორიაში მონაწილეებს შორის მინიმუმ 3 მეტრიანი დისტანციის დაცვა და აუდიტორიაში წინასწარ უნდა იყოს უზრუნველყოფილი ადგილების მონიშვნა (უსაფრთხო დისტანცია, მინიმუმ **4 მ** დაცვით);
  - სპეციფიკიდან გამომდინარე (ჩასაბერი ინსტრუმენტები, ვოკალისტები) დამცავი გამჭვირვალე ბარიების (ან მარლის საფარი) დამონტაჟება;
  - რესპირატორული ეტიკეტის შეხსენება ყველა საგამოცდო სესიის წინ (ხელის აფარების სწორი ტექნიკა).
- COVID-19 დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს თვალსაჩინო ადგილზე;
- ცენტრალურ შესასვლელში განთავსდეს დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- ერთიან შესასვლელთან განხორციელდეს თერმოსკრინინგი, რათა გაკონტროლდეს როგორც თანამშრომელთა, ასევე სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით. ცხელების დაფიქსირების შემთვევაში მოხდეს აღრიცხვა და მიმართვა 112-ის ცხელ ხაზს;
- არ დაიშვებიან პერსონალი და სტუდენტები კონსერვატორიის შენობის საჯარო ადგილებში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე;
- უზრუნველყოფილ იქნას ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება საგამოცდო აუდიტორიების შიგნით და საჯარო სივრცეებში;
- უზრუნველყოფილ იქნას პერსონალისა და აბიტურიენტებისთვის სველ წერტილებში ხელის ჰიგიენა წყლითა და თხევადი საპნით, ხოლო ხელის გასამშრალებლად განთავსდეს ერთჯერადი ხელსახოცები. გამოკრული უნდა იყოს ხელის ჰიგიენის წესები;
- მაქსიმალურად შემცირდეს საგამოცდო აუდიტორიაში მეთვალყურეთა / დამსწრეთა რაოდენობა;
- ყოველი ცვლის შემდგომ უნდა იყოს სანიტარული შესვენება;
- გამოყოფილ უნდა იყვნენ პირები, რომლებიც პერიოდულად დაასუფთავებენ ხშირად შეხებად ზედაპირებს (მათ შორის ღილაკები, კარების სახელურები, ჩამრთველ/გამომრთველები) შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
- საჯარო სივრცეებსა და აუდიტორიებში უზრუნველყოფილ უნდა იყოს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცების თუ სხვა გამოყენებული პირადი და ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პარკი და შესაძლებელი იქნება ფეხის პედლით მათი თავის ახდა. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა უნდა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოფილ უნდა იყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

სპეციფიური მოთხოვნები

- უზრუნველყოფილ უნდა იყოს თითოეულ სტუდენტს / მუსიკოს შორის მინიმალური დისტანცია 4 მეტრი;
- სტუდენტები / მუსიკოსები არ უნდა დასხდნენ ერთმანეთის პირდაპირ ან გვერდით. განლაგება უნდა იყოს დიაგონალზე ან ჭადრაკისებურად;
- დაუშვებელია შესვენებებს შორის უნიღბოდ ერთმანეთთან საუბარი;
- დაუშვებელია ინსტრუმენტების გაცვლა (დასარტყამი ინსტრუმენტების ჯოხები) დეზინფექციის გარეშე;
- ჩასაბერი ინსტრუმენტების მოხმარებისას წარმოქმნილი კონდენსანტის ადგილზე გაწმენდა შესაძლებელია მხოლოდ ერთჯერადი ხელსაწმენდით, რომელიც შემდეგ უსაფრთხოდ იქნება მოთავსებული გადასაგდებ პოლიეთილენის პარკში. თუ გაწმენდა ხდება ნაჭრით, მაშინ უნდა გაირეცხოს 90^{0}C რეცხვის რეჟიმზე და დაუთავდეს;
- დაუშვებელია შესვენების დროს ჩასაბერი ინსტრუმენტებში ნადების მოცილება ძლიერი ჩაბერვის მეთოდით;
- ჩასაბერი ინსტრუმენტების მოხმარებისას და / ან ვოკალისტებისთვის უზრუნველყოფილ უნდა იყოს გამჭვირვალე დამცავი ბარიერები ან მარლის საფარი, რომელიც შესაბამისად დამუშვდება ყოველი მოხმარების შემდეგ.

მოთხოვნები კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემების მიმართ

- უზრუნველყოფილ უნდა იყოს ბუნებრივი უსაფრთხო ვენტილაცია გარედან შემოსული ჰაერით;
- ხელოვნული ვენტილაციის შემთხვევაში, გადაირთოს ვენტილაცია ნომინალურ სიჩქარეზე გამოცდის დაწყებამდე 2 საათით ადრე და სიჩქარე შეამცირეთ მინიმალურამდე გამოცდის დამთავრებიდან 2 საათის შემდეგ;
- არ გამოირთოს ვენტილაცია, არასამუშაო საათებში იმუშაოს ყველაზე მინიმალური სიჩქარით;
- შესაძლებლობის ფარგლებში, გადაირთოს კონდიციონერები მაქსიმალურად გარედან შემოსული ჰაერის ცირკულაციაზე. ასეთი ფუნქციის არარსებობის შემთხვევაში, არ გამოიყენება;
- სავენტილაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე დაწესდეს საინჟინრო კონტროლი. ასევე, კონდიცირების ფილტრების ყოველთვიური მონიტორინგი და დაბინძურების შესაბამისად (მაგრამ არანაკლებ 4 თვეში ერთხელ) მათი რეცხვა/გასუფთავება/გამოცვლა (საჭიროების მიხედვით);
- კონდიციონერების გამოყენება, სადაც შეუძლებელია რეცირკულაციის გათიშვა, მიზანშეწონილი არ არის ჰაერის გამაუვნებელი სპეციალური მოწყობილობების (მაგ., ჰეპა-ფილტრაციის სისტემები) გარეშე;

კონდიცირებისა და სავენტილაციო სისტემის ზემოაღნიშნული პირობების არარსებობისას, გამოიყენეთ სათავსების წინასწარი გაგრილების პრინციპი შემდეგი თანმიმდევრობით:

- გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო სივრცის დასუფთავება/დეზინფექცია;
- განიავება გაღებული ფანჯრებისა და კარებების პირობებში, 30 წუთის განმავლობაში ორპირი ქარის პრინციპით;
- კონდიციონერების ჩართვა სესიის დაწყებამდე და სტუდენტის დარბაზში შესვლის დაწყების პერიოდიდან გამორთვა.

აუდიტორიის დალაგება:

- აუდიტორიის დალაგება განახორციელდეს თითოეული სესიის დაწყებისა და დამთავრების შემდეგ:
  - ღია ფანჯრების პირობებში მაქსიმალურად განიავდეს სივრცე გამჭოლი ნიავის პირობებში;
  - აუდიტორიის იატაკები დასუფთავდეს და დეზინფექცია ჩატარდეს სველი წესით (მაგ., 0,5 %-იანი ქლორის შემცველი სადეზინფექციო ხსნარით);
  - გამჭვირვალე ბარიერების და სხვა მცირე ზედაპირების დამუშავება განხორციელდეს სადეზინფექციო ხსნარში (მაგ., 0,5 %-იანი ქლორის შემცველი ხსნარი) დასველებული ჩვრით ან შესაბამისი დანიშნულების ერთჯერადი ხელსახოცით. მარლის შემთხვევაში, თითოეული გამოყენების შემდეგ უნდა მოიხსნას უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით, გაირეცხოს 90^{0}C რეცხვის რეჟიმზე და დაუთავდეს. მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელია მისი განმეორებით გამოყენება;

- იმ ზედაპირებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ქლორშემცველი ხსნარების ზემოქმედების შედეგად, შესაძლებელია 70%-ანი ალკოჰოლის შემცველი ან სხვა შესაბამისი დანიშნულების პრეპარატის გამოყენება;
- საყოფაცხოვრებო ქიმიის, ასევე სადეზინფექციო საშუალებების ნებისმიერი პროდუქტის გამოყენებისას, დაცული უნდა იყოს მწარმოებლის ინსტრუქცია და უსაფრთხოების რეკომენდაციები;
- დასუფთავება-დალაგების პროცედურები განახორციელეთ „ახალი კორონავირუსით (SARS-cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანების მე-6 დანართით (ახალი კორონავირუსით (SARS-cov-2) გამოწვეული ინფექციისადმი (COVID-19) ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები);

აკრძალულია : დასუფთავების მშრალი მეთოდების (მშრალი ცოცხითა და ჩვრებით) გამოყენება, რადგან ასეთ დროს შესაძლებელია მტვრისა და პათოგენური ბიოლოგიური აგენტების მოხვედრა ჰაერსა და სამუშაო გარემოს ზედაპირებზე;

სანიტარიული კვანძის/საპირფარეშოების დალაგება/დეზინფექცია:

○ სანიტარიული კვანძების დალაგება, ინფექციის გადაცემის რისკების შემცირების მიზნით, უნდა განხორციელდეს დაბინძურებისთანავე, მაგრამ აუცილებელი წესით დღეში რამდენჯერმე და ყოველი დღის დასრულების შემდგომ;

○ საპირფარეშოს დალაგება ხორციელდება სველი წესით და სარეცხი საშუალებებით წმენდის შემდგომი დეზინფექციით, სათანადო წესით;

○ დამლაგებლის ეკიპირებისთვის აუცილებელია:
- ნიღაბი;
- ერთჯერადი ხალათი;
- სპეციალური/სქელი ხელთათმანები (მრავალჯერადი);
- თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი).

კონსერვატორიის პერსონალის ვალდებულებები:

○ დაიცვან ჰიგიენის წესები სამუშაო ადგილზე და იცნობდნენ რესპირატორულ ეტიკეტს (ხველი/დაცემინებისას ხელის სწორად მიფარება / ერთჯერადი ხელსაწმენდის გამოყენება);

○ სამუშაოს დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით უნდა დაასუფთაონ სამუშაო ადგილები და გამოყენებული ინსტრუმენტები;

○ ხშირად უნდა ტარდებოდეს ხელის ჰიგიენა. გამოყენებულ უნდა იქნას 70% სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ხელების დაბანა და გაშრობა. თუმცა, ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;

○ გამოცდაზე დასწრებისას უნდა მოიხმარონ ნიღაბი, ხოლო ჩასაბერი საკრავების ან ვოკალისტების გამოცდისას - დამატებით უნდა ეკეთოთ სახის დამცავი ფარები;

○ დაუშვებელია ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხება. მუშაობის პერიოდში თმა მჭიდროდ უნდა იყოს დამაგრებული, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება.

სტუდენტთა ვალდებულებები:

- ○ დაუშვებელია კონსერვატორიაში ზედმეტი ნივთების შემოტანა (გარდა ინსტრუმენტებისა და აუცილებელი ნივთებისა);
- ○ აუცილებელია საჯარო სივრცეში ნიღაბის ტარება;
- ○ სტუდენტი უნდა გაეცნოს რესპირატორულ ეტიკეტს (ხველი/დაცემინებისას ხელის სწორად მიფარება / ერთჯერადი ხელსაწმენდის გამოყენება);
- ○ ყოველი მოხმარების შემდეგ სტუდენტმა უნდა უზრუნველყოს ინსტრუმენტის ჰიგიენური დამუშვება;
- ○ დაუშვებელია ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხება. მუშაობის პერიოდში თმა მჭიდროდ უნდა იყოს დამაგრებული, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება.